საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №713

თბილისი „08“ 08 2017 წ.

„პროგრამა დედაენის“ ფარგლებში იაკობ გოგებაშვილის მეთოდით შედგენილი I კლასის საგანმანათლებლო რესურსის შესარჩევად კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ და „ყ“ ქვეპუნქტების, „პროგრამა დედაენის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 31 ივლისის N687 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „პროგრამა დედაენის“ საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის 2017 წლის 07 აგვისტოს N916885 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. „პროგრამა დედაენის“ ფარგლებში იაკობ გოგებაშვილის მეთოდით შედგენილი I კლასის საგანმანათლებლო რესურსის შესარჩევად გამოცხადდეს კონკურსი.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო პირობები დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

ალექსანდრე ჯეჯელავა

დანართი

იაკობ გოგებაშვილის მეთოდით შედგენილი I კლასის საგანმანათლებლო რესურსის შესარჩევი კონკურსის საკონკურსო პირობები

„დედაენის“ - ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი (კულტურის მინისტრის ბრძანება N 03/43; 12.03. 2013). 2014 წელს კი განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 295; 14. 04. 2014). ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის გოგებაშვილის მეთოდის შესანარჩუნებლად მიზანშეწონილია, რომ სასწავლო პროცესში მოხდეს მისი გააქტიურება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „პროგრამა დედაენის“ ფარგლებში აცხადებს კონკურსს იაკობ გოგებაშვილის მეთოდით შედგენილი I კლასის საგანმანათლებლო რესურსის შესარჩევად, რაც ხელს შეუწყობს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის სასიცოცხლო გარემოს შექმნას. აღნიშნული პროგრამის მიზანია გოგებაშვილისეული ძირითადი მეთოდის შენარჩუნება/გააქტიურება.

იაკობ გოგებაშვილის მეთოდით შედგენილ საგანმანათლებლო რესურსს შეარჩევს მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია. შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი საპილოტე რეჟიმით შევა 20 საჯარო სკოლაში.

საკონკურსო პირობები:

- სახელმძღვანელო უნდა შეესაბამებოდეს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებულ საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის გოგებაშვილისეულ მეთოდს (სავალდებულოა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი კომისიის დასკვნის წარმოდგენა).
- I კლასის სახელმძღვანელო კომპლექტი უნდა შედგებოდეს მოსწავლის წიგნის, მოსწავლის რვეულისა და მასწავლებლის წიგნისგან.
- სახელმძღვანელო არ უნდა შეიცავდეს სტერეოტიპულ, არაკორექტულ, დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს ენის, ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვა ნიშნით.
- მასწავლებლის წიგნის შესავალ ნაწილში დაწვრილებით უნდა იყოს ჩამოყალიბებული გოგებაშვილის მეთოდის არსი და ახსნილი უნდა იყოს მისი უნიკალურობა.
- ძირითად ნაწილში ასახული უნდა იყოს თავის/ნაწილის/განყოფილების დანიშნულება, მათი სწავლების მიზნები და უნდა მოიცავდეს გაკვეთილების სცენარებს - პირველი თავის (იგულისხმება პირველივე თავი, რომელიც არ არის განვლილი მასალის განმეორება) ყველა გაკვეთილის სარეკომენდაციო სცენარი და ყოველი მომდევნო თავიდან არანაკლებ 1 გაკვეთილის სარეკომენდაციო სცენარი, ასევე სხვადასხვა სახის დავალებების ნიმუშები მასალიდან და მოსწავლის შეფასების მექანიზმები.
- საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალა უნდა იყოს ფერადი ამონაბეჭდის სახით.

- საავტორო უფლებების გადაცემის საკითხი და პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ავტორს შორის გასაფორმებელი სალიცენზიო ხელშეკრულებით;
- საკონკურსო მასალის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 29 აგვისტო.